

1939/2

ქართული  
გაზეთთა  
კავშირი

# ბიბეკი





# კომუნისტი

საქ. აღკვ. ცენტრალური კომიტეტისა და  
საქ. განსახორმის ეკთმეოვიური შურნალი  
ოქტომბერი 1939 წ., № 10

გამომცემლობა „კომუნისტი“, რედაქციის მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 34, ტელ. 3—02—61.

## შინაარსი

	გვ.
1. სახელოვანი თარიღი . . . . .	1
2. იოსებ ნონეშვილი, — ოქტომბრის დროშით (ლექსი) . . . . .	3
3. თურგან შანიაშვილი, — თქმულება ალაზნის ველზე (მოთხრობა) . . . . .	4
4. ლილია მებეღიძე, — შემოდგომის სურათები სოფლად (ლექსი) . . . . .	7
5. მიხეილ ლერმონტოვი . . . . .	8
6. გ. ი. ლეკოტორია, — პოეტის სიკვდილი (ლექსი თარგმანი ა. ახანაზაროვისა) . . . . .	10
7. პაულ ცეხი, — გველის სიბრძნე (თარგ. თამარ ყიფიანისა) . . . . .	11
8. ძ. თოთიბაძე, — გამოჩენილი ოსი მწერალი . . . . .	13
9. მოსწავლეთა შემოქმედება (ლექსები) . . . . .	15
10. შ. რუსეაშვილი, — ნახშირი . . . . .	16
11. რატომ მიიღტვიან მწერები სინათლისაკენ . . . . .	გარეკანის მე-3 გვ.
12. როგორ ავანთოთ სანთელი უნაპერწყლოდ . . . . .	გარეკანის მე-3 გვ.
13. „მძიმე“ ამოცანა . . . . .	გარეკანის მე-3 გვ.
14. ვასაროობი . . . . .	გარეკანის მე-4 გვ.

ჟურნალის გაფორმება და ყდის მხატვრობა  
გაუთენის მხატვ. ი. ქოქიაშვილს.

პასუხისმგებელი რედაქტორი—მლ. აგლაძე

პასუხისმგებელი მდივანი—ნ. სიკაბილაძე

შთავლიტის რწმუნებული № 3059 შეგვ. № 1101 ტირაჟი 32.000 პოლიგრაფკომბინატის სტამბა „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 28.

3528


# სახელოვანი თარიღი

1917 წლის 7 ნოემბერი. ყველასათვის ცნობილია ეს სახელოვანი თარიღი. ამ შესანიშნავ დღეს რუსეთის პროლეტარიატმა კომუნისტური, ლენინურ-სტალინური პარტიის ხელმძღვანელობით დაამხო მზავრელთა და ექსპლოატატორთა ხელისუფლება და გამარჯვებით დააგვირგვინა ოქტომბრის დიდი რევოლუცია. ეს დღე დაბადების დღეა საბჭოთა ხელისუფლებისა, დაბადების დღეა ჩვენი მშვენიერი სამშობლოსი. ამიტომაც, რომ ჩვენი ძღვევამოსილი ქვეყანა ყოველწლიურად უდიდესი ზემოთ აღნიშნავს ამ სახელოვან თარიღს, ახალ-ახალი მიღწევებით, ახალ-ახალი გამარჯვებებით ეგებება მას.

22 წელმა განვლო ამ ისტორიული დღიდან, 22 წლის თავს ზეიმობს დღეს საბჭოეთის ყოველი მოქალაქე — მუშა, კოლმეურნე და ინტელიგენტი, ახალგაზრდობა და მოზარდი თაობა.

ოქტომბრის რევოლუცია ერთადერთი რევოლუციაა მთელს მსოფლიოში, რომელმაც მისცა ჩვენი ქვეყნის ხალხებს არა მარტო თავისუფლება, არამედ შეუქმნა მათ მატერიალური პირობები ბედნიერი ცხოვრებისათვის.

სოციალიზმი, რისთვისაც იბრძოდნენ მშრომელი მასები და რაც მხოლოდ ოცნებას წარმოადგენდა, ჩვენს ქვეყანაში უკვე განხორციელდა. სტალინურმა კონსტიტუციამ საბჭოთა კავშირის თანასწორუფლებიან მოქალაქეებს მიანიჭა უფლება შრომისა, დასვენებისა და განათლებისა. ძალასა და ხალხის შპატებს ეს უფლებები ჩვენი ქვეყნის მშრომელებს. გასაკვეთული ენერგიით იბრძვის საბჭოეთის ყოველი მოქალაქე ახალ-ახალი მიღწევებისათვის. დაინერგა და განმტკიცდა შრომის სტახანოვური მეთოდი. ყველას სურს თავისი წვლილი შეიტანოს სოციალისტურ მშენებლობაში. ამიტომაც ყველის ჩვენი სოციალისტური სამშობლო. დღითიდღე იცვლის სახეს ჩვენი უზარმაზარი ქვეყანა. იზრდება და ლამაზდება საბჭოეთის ქალაქები, იზრდება ფაბრიკა-ქარხნების რიცხვი, გზებითა და არხებით იქსელდება ჩვენი თვალუწვდენელი ტერიტორია.



დღითიდღე მტკიცდება უახლესი ტექნიკით შეიარაღებული ჩვენი სასოფლო მეურნეობა. სოფლის

მეურნეობის ზღაპრული ზრდა და განვითარება ნათლად დაანახვა მთელ მსოფლიოს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენამ, რომელიც მიმდინარე წელს გაიხსნა წითელ დედაქალაქ მოსკოვში.

გამრავლდა სკოლების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების რიცხვი. აყვავდა და გაიფურჩქნა მეცნიერება და ხელოვნება. თითოეულ საბჭოთა რესპუბლიკაში არნახული სისწრაფით აიწია კულტურულმა დონემ.

ძნელია აღნუსხვა ყველა იმ მიღწევისა, რომელიც მოიპოვა ჩვენმა ქვეყანამ მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

ერთ დროს ჩამორჩენილი ქვეყანა გადაიქცა ძღვევამოსილ საბჭოთა სახელმწიფოდ, სადაც მშრომელთათვის შექმნილია ყოველგვარი პირობა ბედნიერი და მშვიდობიანი ცხოვრებისათვის.


განსაკუთრებით საამურია ცხოვრება ჩვენს ქვეყანაში მოზარდი თაობისათვის. უდიდესი მზრუნველობითა და გულთბილი სიყვარულით არიან გარემოსილი ჩვენი ქვეყნის ბავშვები. მათთვის შენდება უთვალავი საბავშვო ბაღი, სკოლები, საბავშვო სახლები, პიონერთა სასახლეები, კლუბები, საბავშვო პარკები, დასასვენებელი სახლები, სანატორიუმები. მათი ზრდისა, განვითარებისა და გაჯანსაღებისათვის, ბედნიერი ცხოვრების შექმნისათვის, ზრუნავს ჩვენი პარტია და ხელისუფლება.

უდიდესი პატრიოტული გრძნობით არიან გამსჭვალულნი საბჭოთა ქვეყნის შვილები. საბჭოთა ხალხს მთელი არსებით უყვარს სოციალისტური სამშობლო. ძლიერმა პატრიოტულმა გრძნობებმა გვირებად აქცია საბჭოთა ხალხი.

გმირობისა და სამშობლოსადმი თავდადების მაგალითები უამრავია.

ჩვენი ქვეყნის ბევრმა მფრინავმა, მესახლვრემ, წითელარმიელმა, წითელფლოტელმა თავისი საგმირო საქმეებით დაიმსახურა საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო სახელი.

მთელი მსოფლიო განცვიფრებაში მოიყვანა მიმდინარე წელს საბჭოთა კავშირის გმირების კოკი-



ნაკისა და გორდინკოს ძირდაუშვებელმა გადაფრენამ მოსკოვიდან ამერიკამდე.

ჩვენი გაბედული მფრინავები, ჩვენი ფოლადის არწივები, უძლეველი წითელი არმია და წითელი ფლოტი ყოველ წამს მზად არიან დაიცვან საბჭოთა სამშობლო, თუ კი მტერი გაბედავს დაარღვიოს საბჭოეთის მყუდრო ცხოვრება.

ახალი მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა, რითაც ჩვენი ქვეყანა შეეგება ბრწყინვალე ოქტომბრის დღესასწაულს, ეს არის ჩვენი თვისტომი დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის ხალხების განთავისუფლება პანების ტყვეობისაგან. უდიდესი ინტერესითა და აღფრთოვანებით იქნა მოსმენილი რადიოთი წარმოთქმული სიტყვა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ვ. მ. მოლოტოვისა.

ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა ამ სიტყვაში აღნიშნა საერთაშორისო ვითარებაში მომხდარი ცვლილებანი, აღნიშნა ის შინაგანი უმწეობა, რომელიც გამოიჩინა პოლონეთის მთავრობამ პოლონეთ-გერმანიის ომში, რომ პოლონეთმა სრულიად მცირე ხანში დაკარგა მთავარი სამრეწველო რაიონები და კულტურული ცენტრები, რომ დაიშალა პოლონეთის მთავრობა და რომ ის ფაქტიურად აღარ არსებობს. ამხ. მოლოტოვმა ამ შესანიშნავ სიტყვაში თქვა:

„პოლონეთში ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომელიც საბჭოთა მთავრობის მხრით მოითხოვს განსაკუთრებულ ზრუნვას თავისი სახელმწიფოს უშიშროებისათვის. პოლონეთი ხელსაყრელ ასპარეზად გადაიქცა ყოველგვარი შემთხვევითობისა და მოულოდნელობისათვის, რომლებმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნან სსრ კავშირს. საბჭოთა მთავრობა უკანასკნელ დრომდე ნეიტრალური რჩებოდა, მაგრამ მას აღნიშნულ გარემოებათა გამო უკვე აღარ შეუძლია ნეიტრალურად მოექიდოს შექმნილ მდგომარეობას.“

ამხ. მოლოტოვმა აღნიშნა აგრეთვე, რომ შემთხვევის ანაბარა არიან მიტოვებულნი თვისტომი ხალხები: დასავლეთ-უკრაინელები და დასავლეთ-ბელორუსები, და რომ „საბჭოთა მთავრობას თავის წმინდა მოვალეობად მიაჩნია დახმარების ხელი გაუწოდოს თავის ძმებს — უკრაინელებსა და ძმებს — ბელორუსებს, რომლებიც პოლონეთში მოსახლეობენ“.

იმავე დღეს, 17 სექტემბერს, საბჭოთა მთავრობის განკარგულებით, ძლევა მოსილი წითელი ჯარები საზღვარზე გადავიდნენ. აღფრთოვანებით შეუდგნენ წითელი მეომრები თავის წმინდათა-წმინდა მოვალეობის შესრულებას, მათ გადალახეს საზღვა-

რი, რათა დაეცვათ დასავლეთ-უკრაინელებისა და დასავლეთ-ბელორუსების სიცოცხლე და ქონება რაინათა დახმარება აღმოეჩინათ მათთვის პანების განადგურებაში, ექსპლოატაციისა და ჩაგვრის მოსპობაში.

მუშურ-გლეხურ წითელ არმიას უდიდესი აღფრთოვანებით ეგებებოდა დასავლეთ ბელორუსიისა და დასავლეთ უკრაინის მოსახლეობა.

უფროსები და ბავშვები ეხვეოდნენ, ჰკოცნიდნენ წითელ მებრძოლებსა და მეთაურებს, ყვავილებით რთავდნენ საბრძოლო მანქანებს, უმასპინძლებდნენ ვაშლებითა და რძით, დახმარებას უწევდნენ პოლონელი ჯარისკაცების წინააღმდეგ ბრძოლაში.

როგონს ახლოს როდესაც ტანკის მეთაურმა ამხ. გორასჩენკომ მაღლობა გადაუხადა გლეხებს დახმარებისათვის, გლეხი მარჩანი გადაეხვია მას და მაგრად გადაკოცნა. თვალცრემლიანმა მარჩანმა თქვა:

— გმადლობთ, ჩვენო ძვირფასო ძმებო. ჩვენ დიდხანს ვოცნებობდით თქვენზე. გმადლობთ — თქვენ იხსენით ჩვენი სიცოცხლე...  
წითელარმიელების მიერ დაკავებულ დასახლებულ პუნქტებში სტიქიურად იმართებოდა მიტინგები. მცხოვრებლები აღფრთოვანებით მიესალმებოდნენ მათ გასათავისუფლებლად მოსულ წითელ ჯარებს.


სოფელ კამენკაში წითელარმიელებს გარს შემოეხვია სოფლის ყველა მცხოვრები. ხალხში მოულოდნელად მალლა ავიდა მოხუცი გლეხი, რომელმაც ალელვებით მიმართა ხალხს:


— უცქირეთ ყველამ! რაკი ასეთი წითელარმიელები გვიცავენ, ჩვენ აღარასოდეს აღარ დაგვედგმის პანების უღელი.

და მართლაც, დასავლეთ ბელორუსიისა და დასავლეთ უკრაინის, ხალხებს არასოდეს აღარ დაედგმის პანების უღელი. იქ ახალმა მშემ, საბჭოთა ბრწყინვალე მშემ შეანათა.

ქალაქებსა და დაბებში უკვე კარგახანია მუშაობენ დროებითი მმართველობები. მოსახლეობა გამოცოცხლდა, ქუჩები გამხიარულდა, ხალხი მშვიდობიან ცხოვრებას შეუდგა. უკვე დაიწყო იქ სწავლა ახალ სკოლებში, სადაც მშრომელების შვილებს პირველად მიეცათ შესაძლებლობა ისწავლონ მშობლიურ ენაზე, ისწავლონ უფასოდ. იქ უკვე გამოდის გაზეთებიც მათ მშობლიურ ენაზე. ამ გაზეთებში ისინი მოგვითხრობენ თავიანთ შავბნელ წარსულზე და იმაზე, თუ რა დიდი ბედნიერება მიანიჭა მათ ძლევა მოსილი წითელი არმიის მისვლამ.

აი უდიდესი სასიხარულო მოვლენა, რითაც ეგებება ჩვენი ქვეყანა ოქტომბრის დიად დღესასწაულს.





# ოქტომბრის დროშით

რომ ეგებებით მზის ყოველ მოსვლას,  
ასე ნათელი სახის იერთო,  
ადიდეთ დიდი ოქტომბრის დროშა,  
ადიდეთ ჩვენი ხალხი ძლიერი.

გაზაფხული რომ დაგიხვდათ ყმაწვილთ,  
როცა პირველად თვალებს ახელდით,  
ადიდეთ ჩვენი მამების ღვაწლი,  
ადიდეთ მათი წმინდა სახელი.

ეწირებოდნენ დროშებს ნატყვიარს  
ერთი მიზნით და სულისკვეთებით.  
ჩახედეთ არაგვს, ახლაც ატყვიათ  
კალმახებს მათი სისხლის წვეთები.


ღამე იყო თუ დილა სისხამი,  
მტერს ეცემოდნენ ანაზღვეულად,  
დღეს მათი სისხლის თითო მისხალი  
ზღვა სიხარულად გადაქცეულა.


ბაღებშიც, სადაც მწვანე მოლია  
და ზამბახების შუქში ინთებით,  
ყვავილები კი ნურვის გგონიათ, —  
აყვავებულან მათი ფიქრები!

და თუ მტრებს ისევ მონატრებიათ  
ახალი ბრძოლის ქარტეხილები,  
საბჭოთა ქვეყნის შევარდნებია  
მათ შესახვედრად ფრთავაშლილები.

აიშლებიან ზღვიდან, მთებიდან,  
რომ ასახელონ მხარე გმირობით,  
ისევ ხმალდანხმალ ამხედრდებიან  
ბუდიონი და ვოროშილოვი.

ოქტომბრის დროშით, ბრძენის ძახილზე  
მოვა გმირების რაზმი ფრთავაშლი,  
ამ მთებზე უფრო გოლიათები,  
ამ ვარსკვლავებზე უფრო მრავალი.





თქმულება კობნის ეკლზე

დასასრული \*)

დამფრთხალი საქონელი ზმუილით შეეხიზნა ეზოებს. მინდორში გასული ქალი და კაცი შინისაკენ გამოიქცნენ, ფეხდაფეხ გამოჰყვათ გამყინავი კვილი. აგერ ნაპირთან აქაფდა აშმორებული წყალი და ზღვის საშინელებამ ეშვები ამოყო. ძუნძულით ამოვარდა წყლიდან, საზარლად დაიკვილა და დასარბევად მოედვა მიდამოს. ნიშა მძიმედ ქშინავდა. წინა ფეხით მიწას თხრიდა. იზმორებოდა. ხამუშხამუშ ბლაოდა. გეგენა ეზოში იდგა და გაჰყურებდა მთაზე შეფენილ სოფელს. ბრმა დევკაცი კი შფოთავდა. სული შურის საძიებლად ელტვოდა, მაგრამ რა ექნა, ვერა ხედავდა.

ნიავეს მოჰქონდა დაწოკებული სოფლის ხმა. ის-მოდა ბლავილი, ყეფა-წყმუტუნი და გმინვა-ყივილი...

— ჰეი, მიშველეთ, მი..შვე...ლე...ეთ! — მოისმა უცებ სასოწარკვეთილი წივილი.

სწრაფად წამოხტა გეგენა. ტანზე ტაო აუდგა. დაინახა, მათკენ მობრბოდა თმაგაწეწილი და საკინძჩამოხეული დედაკაცი, მკერდში ძუძუმწოვარა ჩაეკრა და მშველელს მოუხმობდა. უკან პირდაღებული ურჩხული მოსდევდა, ქაფსა ყრიდა, ბრდღვინავდა, წამოწევას ლამობდა.

— მიშველეთ, მი..შვე...ლე...ეთ! — გაჰკიოდა დედაკაცი. გაათრებულნი ცხოველი დაეწია, ბავშვი გამოსტაცა სასოწარკვეთილ დედას და შესანსლა.

— ჰაუ, რა ამბავია! — აქუხდა დედაკაცის წივილზე ბრმა მჭედელი. ვეფხვივით წამოიჭრა. უნდოდა მიშველებოდა, მაგრამ ბოძს შეეტაკა შუბლით. უკუიქცა და დერეფანში გაიშხლართა საცოდავი.

— ოხ, თვალები, თვალები! გიჩვენებდი სერიის! — ბრდღვინავდა ტკივილისა და ბოლმისაგან რეტდასხმული ბერიკაცი.

გულზე ცეცხლშემოდებულმა გეგენამ რკინის კეტს დაავლო ხელი, შველივით გადაეგლო ლობეს, გულდაგულ გაქანდა მხეცისაკენ და მოეჩვენა, თითქოს ვილაცა მისდევდა უკან. მიუახლოვდა ცნობადაკარგულ ქალს. გვიანდა იყო: გაფატრული ეგდო

შამბნარში. ურჩხული შორიახლო იდგა და ბორბლად იყურებოდა მიმავალი ვაჟკაცისაკენ. უცებ მოწყდა ადგილიდან, ზვაფივით წამოვიდა. ახალგაზრდა მჭედელს ფერი ეცვალა, მაგრამ ურჩხულმა მას გვერდი აუქცია და უკან გაქანდა. ვაჟკაცს არ ესიამოვნა, დამიწუნაო, — გაიფიქრა და შეტრიალდა. დაინახა: წინ ნიშა გარბის, უკან ტბის საშინელება მისდევს. საცაა წამოეწევა. აი ერთი ნახტომიც — და გათავდა. ნიშა გვერდზე გაუხტა. ზევით შემობრუნდა, აღმართს შეჰყვა. ურჩხულიც გამოედევნა. გული მიეცა გეგენას. თავქვე დაქანდა და დაჰკიჟინა. შედგა ნიშა, შეტრიალდა, მახვილი რქები წინ გაიშვირა. ოდნავ უკან დაიწია, დაიფრუტუნა და ძალუმად დევჯახა ტბის ცხოველს. მან ვერ გაუძლო: უკანა ფეხებით დაიჩოქა. კვლავ დაეტაკა ნიშა და ზურგზე დასცა მოწინააღმდეგე.

— ჰაუ, ქედში გენაცვალე, ნიშავ! — დაჰკიჟინა გეგენამ და კეტით მიიჭრა ურჩხულთან. ვერ მოასწრო დარტყმა, რომ წამოხტა ძირდაცემული, დაიკვილა და ტბისაკენ იბრუნა პირი. ნაპირამდის მიჰყვა გალაღებული ბუღა, წყალში შესვლა კი ვერ გაბედა. დიდხანს იდგა ნაპირზე, თავს იქნევდა და წინა ფეხით მიწას ტორავდა, თითქოს კიდეც იწვევდა საჭიდაოდო, მაგრამ ურჩხული იმ დღეს აღარ გამოსულა.

სალამოს ბრმა დევკაცი გულღვარძლიანობდა შვილის მიმართ.

— როგორ წავივიდა, რატომ იქვე არ მოკვდი, როცა ხელცარიელი ბრუნდებოდი, მხდალი ვის დავემგვანე?! შენი ხნისა ვაგიჟებულ კამეჩს ვიჭერდი. კიდევაც რომ ვაჟკაცობ, ცოლის შერთვასაც რომ აპირებ! წადი, უთხარი მაინც შენ საცოლეს, რომ ერთი მტერი ვერ მოგიშორებია! — ბრახობდა მოხუცი, შვილის თავზე ცეცხლს ანთებდა, შვილი კი სიტყვის შებრუნებას ვერ უბედავდა.

იმ ღამესაც თეთრად გაათენა გეგენამ. ამის შემდეგ ყოველთვის მესამე ან მეოთხე დღეს გამოდიოდა ურჩხული. მოედებოდა სოფელს და აწიოკებდა.

\*) იხ. „ბიონერი“ № 9.

გათამამებული ბულა გაიგებდა თუ არა კვილის, უმაღლესი გემარტებოდა მისკენ, ამაყად მიუხტებოდა, დაეტაკებოდა რქებით, დალიდა და დაქანცულ მტერს ტბაში შეაგდებდა.

ამ გარემოებამ საგონებელში ჩააგდო გეგენა. ბულა ყოველთვის ღლიდა ურჩხულს, მაგრამ სასიკვდილოდ კი ვერ აზიანებდა.

ცალკე მამის საყვედური უგესლავდა გულს. სინდისი ქეჯნიდა მამის წინაშე, მხდალს რომ ეძახდა, სული ეწვოდა.

ერთ დღეს ნიშა ქიდაობიდან დაბრუნდა. სამკედლოს კარზე მოდგა, პატრონისაკენ ყელი გასწია და მრავალმნიშვნელოვანად შეზმუვლა. გეგენამ რქებზე შეხედა. წვერები წამტვრეოდა ოდნავ. თავში რაღაცა აზრმა გაუელვა. ბულას მიუალერსა. რქები გაუზომა. შემდეგ კარი ჩაიკეტა და განუწყვეტლივ მუშაობდა ორი დღის განმავლობაში. ბრმა მჭედელმა შენიშნა შვილის საქციელი, მაგრამ ხმა არ გასცა. მესამე დილას ადრინად გამოვიდა ახალგაზრდა მჭედელი. ნიშას მოუხმო. დაუყვავა, სველ ცხვირზე აკოცა და სამკედლოში შეიყვანა.

ცოტა ხნის შემდეგ ბულა ეზოში თარეშობდა. ორი ფოლადის ბასრი რქა პრიალებდა მის რქებზე ჩამოცმული. ხელოვნური რქები პრტყელი რკინის ფარით თავდებოდა, რომელიც ქუთუთობის ქიმამდე სწვდებოდა. ეს მორთულობა რომ არ გადმოსძრომოდა, ყოველი შემთხვევისათვის პრტყელი თასმით იყო ყელზე შეკრული.

— ვნანოთ, როგორ გაგიმარდებდა ურჩხული! — წარმოთქვა გახარებულმა ჰაბუკმა და მამას გადასძახა:

— დღეს უნდა დავამარცხოთ ტბის საშინელება!

— გაჟაკები არ იკვებიან, საქმეს გულდაგულ აკეთებენ, — ცივად უპასუხა ბრმა დეეკაცმა.

გეგენას ხმა არ ამოუღია, სამკედლოდან ურო გამოიტანა, ნიშა წინ გაიგდო და ეზოდან გავიდა.

მამამ ფეხის ხმაზე გაიგო შვილის წასვლა, მაგრამ არათფერი უთქვამს.

სოფლიდან კვილი ჩამოსმა. ხალხი ღობეებზე მომდგარიყო. დედაკაცები დაღმართს ჩამოჰკიოდნენ. კაცები უხმოდ აჩვენებდნენ ურჩხულზე და ჩამოსვლას ვერ ბედავდნენ.

კვილის გაგონებზე გათამამებული ბულა ადგილიდან მოწყდა. უკან გაჰყვა მტერის კორიანტელი. მხარზე უროგადებული გეგენაც ფეხდაფეხ აფდევდა.

მირბოდა ბულა და მიბლაოდა, ფოლადის რქები უბრწყინავდა ქედზე.

ქვევით, ტბის მხრიდან, ყრუ კვილი მოისმა. ბულამ იქით მიღრიჯა სქელი კისერი. ხარბად იყნოსა ჰაერი. კიდევ გაჰბლავდა თამამად და დაეშვა დაღმართზე. სიშორემ ჩაყლაპა იგი.

ველარას ხედავდა გეგენა. გული წინ მიიწვიდა. შურისძიება ეწეოდა შეყვლებულ ვაჟკაცს. უროს მაგრად უჭერდა ხელს და ჰაერში ატრიალებდა.


კვლავ მოისმა მძლავრი კვილი. ბულის ბლავილი შეერია ცივ კვილს და მძლავრმა ჯახუნმა ცეცხლი შეუნთო ახალგაზრდა მჭედელს.

მგლის მუხლი შეიბა გეგენამ, საკინძი შეიხსნა და ახალუნის კალთები ნიავს მიუგდო საფრიალოდ.

დაუახლოვდა ნაპირს. გამოჩნდნენ მოჭიდავენი. ისმოდა ბლავილი, ქმენა, მძლავრი ჯახუნი, ფოლადის წკრიალი და ძვარუნი. ყრუდ ზრიალებდა მიწა. ბრღვენიავდა ტბის საშინელება და ქშინავდა ნესტოებდაბერილი ბულა.

გულდაგულ მიიჭრა გეგენა, მაგრამ უკანუკან მომავალმა ნიშამ შეაჩერა ვაგიჟებული მჭედელი.

— შენ ქედს ვენაცვალე, ნიშავ! — შეუკიჟინა ახლომისულმა. ბულა გათამამდა, ზვავივით დაქანდა მოწინააღმდეგისაკენ. პრიალა ფოლადის რქებმა სივილით გაჭრეს ჰაერი და ურჩხულის ყარაჩი შუბლზე ხათქანი მოიღეს: ერთ წამს თითქოს მიეკრა, ველარ გაშორდა ალტკინებული ბულა მოწინააღმდეგის ქერტლიან შუბლს. შემდეგ კი მოსწყდა, ქედზე სიმსუბუქე იგრძნო და ლალად შეუტია ურჩხულს. ტბის



საშინელების შუბლზე შუამდის ჩარქმული ფოლადის რქები აპრიალდა. გაისმა ზარდამტყევი გმინვა და ბლავილი. უმაღ ალიმართა გეგენას ურო და ფოლადის რქებზე ზრილით ახმაურდა.

თავგზა დაებნა ურჩხულს. დატრიალდა, კვინიხის ძვალში სოლად ჩარქობილი რქების მოშორება მოიწადინა, მაგრამ ამაოდ, მკლავმაგარი გეგენა არ ეშვებოდა. მძიმე უროს ძირამდის ჩაჰყავდა ფოლადის რქები. ღმუოდა ტბის საშინელება და ბანს აძღვედა ჭალარა კავკასიონი. მარჯვედ სცემდა უროს მკლავმაგარი გეგენა. პირი იბრუნა ურჩხულმა, მოწინააღმდეგეს ზურგი უჩვენა და ბლავილით მიაშურა ტბას.

წყლის პირას მოეწია ფეხმარდი გეგენა, მენჯის თავზე ხელი დაჰკრა და წყალში შეცურებულ ცხოველს ზურგზე მოექცა. კვლავ აზრილდა ურო ყირაზე დარქმულ ფოლადის რქებზე. აღმუვლდა ტბის საშინელება და ბანი მისცა ჭალარა კავკასიონმა.

მიცურავდა ურჩხული და დაჰკეფინებდა მქედელი. უკან რჩებოდა სისხლის კვალი და ნაპირზე დარჩენილი ბულის ბლავილი.

სოფელმა გაიგო მტრის დამარცხება, დაღმართზე დაეშვა და ტბის ნაპირას მოჯარდა. ბრმა დევკაციც მივიდა ჯოხის კაკუნით.

შიშით გაიყურებოდნენ წყლის სიღრმისაკენ. სუსტადლა ისმოდა ბლავილი. სისხლის ზოლი სარტყლად მისდევდა ტბის ზედაპირს. ნიავე ხანდახან თუ მოაკდებდა ურჩხულის გმინვას.

ბრმა მქედელმა დინჯად მოისმინა თვითმხილველთა საუბარი. ესიამოვნა შვილის ქება, მაგრამ ტბაში შეჰყვარო რომ გაიგონა, სახე დაედრიჯა. — დამელუბებო, — ამოიგმინა და წყნარად იკითხა:

— სხვა ხომ არავინ გაუფუჭებია იმ ტიალს?

— ზევით დედაკაცები დასტირიან საბრალოს — იყო პასუხი.

— მიმიყვა, მაჩვენე, — დაიჭინა ბრმა დევკაცმა. წადილი შეუსრულა მოსაუბრემ.

ბრმა მქედლის მოახლოებაზე დედაკაცებმა უფრო მოუმატეს ტირილს. ახალმოსული მუხლებზე დაემხო. ხელით მოსინჯა ცხედარი: მკერდზე აყოლა თითები. სისველე შეიგრძნო; სისხლიაო, გაიფიქრა. ნიკაპი მოუსინჯა. მეორე ხელზე გრძელი თითები მოხვდა. რაღაც მოაგონდა ბერიკაცს. ათრთოლდა. სახეზე ფითრის ფერმა დაჰკრა და აკანკალებული თითები ყურის ბიბილოს დასწვრივ ყელისა და სახის გასაყართან მიიტანა. საჩვენებელი თითი აბურცულ ნაწილზე შეჩერდა. „ხალია“ — მოაგონდა დიდხნის წინათ გაგონილი ქეთევანის პასუხი და თვალებიდან ცრემლები გადმოაჰკურა. ფრთხილად დაეკონა საჩილოს. ცოტახანს იყუჩა, შემდეგ გიჟურად აიტაცა ცხედარი და აქვითინდა. ჭალარა წვერი ქალის სისხლმა შეუწითლა.

— ქეთევან... შვილო ქეთევან... — ქვითინებდა მოხუცი და ბრმა თვალებიდან ცრემლი სცვიოდა.

— საით არის ტბა, პირით იქით შემაბრუნეთ! — აქუხდა დევკაცი.

არავინ იცოდა, რა ეწადა მოხუცს. ვიდიცამ შეაბრუნა ტბისაკენ.

— აქეთ არის? ჰო? წავიდეთ, შვილო ქეთევან, ჩვენც იქ წავიდეთ. გეგენა აღარ დაბრუნდება, წავიდეთ მასთან! — თქვა ჭალარამ და ისეთი სისწრაფით მოსწყდა ადგილს, რომ ვერავინ მოასწრო მისი დაქერა. მიბრბოდა მოხუცი. ჩუმაღ ქვითინებდა და ბრმა თვალებიდან ნაჟური ცრემლი ქალის გაცვივებულ გვამს ეპკურებოდა.

მიალაჯებდა მოხუცი, ფრიალებდა ჩონის კალთა და იწეწებოდა ქალის თმა.

უჩვეულოდ აჯგაფუნდნენ ტბის ტალღები, ორი ადამიანი ჩაიხტეს მკერდში — ერთი უსულო და თვალმილულული, მეორეც — თვალმილულული, მაგრამ ცოცხალი.

\* \*

ოთხი დღის შემდეგ დამარტოებულმა ნიშამ შეძრა სოფელი. დაჯირითობდა გახელებული. თითქოს პატრონს მოუხმობსო, ტბას გადაჰბლაოდა.

მთელი დღე ირბინა საცოდავმა. ვერ ნახა თავისი საყვარელი გეგენა. ველარც ბრმა დევკაცს შეავლო თვალი. საღამოს, თითქოს იმედი გადაუწყდაო, გულის საკლავად აბლავდა. ეზოში შეიჭრა. სამქედლოს კარი რქენით შეამტვრია. გრდემლი გადააბრუნა გაცოფებულმა. ქურაში ცხვირი ჩაყო. უყნოსა ნაცეცხლურს. სველი ცხვირი გაინაცრიანა და დაჰბლავდა დაობლებულმა, თითქოს გამოიტირა დალუბული ოჯახიო. შემდეგ ელოდა, დიდხანს ელოდა, მაგრამ არავინ მოვიდა. გაცოფდა ბუღა. ეზოში გამოიჭრა. კიშკარს მხარი აუქცია და ღობეს გადაეგლო.

მას შემდეგ აღარ დაბრუნებულა იგი.

რამოდენიმე ხნის შემდეგ სოფლებებმა გაუგონარი რამ ნახეს. ტბა ნაპირიდან ორმოც ადღზე მიმდგარიყო უკან. ყველა გაოცდა. მიზეზი ვერავინ დაასახელა.

გავიდა დრო და ტბა სულ დაშრა. მაშინ აფრინეს კაცები. იორისა და ალაზნის ახლანდელ შესართავთან იპოვეს გადახრამული ადგილი, ხრამის ნაპირას კი გარიყული ცხოველის უჩვეულო ჩონჩხი ნახეს. ჩონჩხს წინა ტოტზე ბრკყალები ზოგი დამტვრეული ჰქონდა და ზოგიც დაცვეთილი. შუბლის ძვალში რკინის რქები იყო ჩაჭედილი.

იქვე ადამიანის მოკრუნხული ჩონჩხი ეგდო, ზედ კი დაჟანგებული ურო იყო აყუდებული.

და დაასვენეს მნახველებმა: სიკვდილის ჟამს ურჩხული ამ ნაპირს მოსდგომია და ტკივილისაგან შეწუხებულს მიწისათვის ტორი უცემნია, თავისდა უნებურად ხრამი გაუკეთებიაო. წყალიც მის კვალს გაჰყოლია და ამიტომია, რომ ტბა დაიცალიო.

ტბის ადგილას აღმოცენდა ბალახი. აყვავდა ყვავილები და ეს უზარმაზარი სივრცე მშვენიერ სახნავ-სათეს მინდვრად გადაიქცა.

მოსახლეობა დიდი ხნის განმავლობაში იგონებდა მქედელ გეგენას, რომელმაც სახალხო საქმისათვის გაწირა თავი, ხალხი წყეული ურჩხულისაგან გაა-



თავისუფლა, ამშორებული წყალი დააშრო და სახ-  
ნავ-სათესი ფართობი უფასოდ გადასცა მცხოვრე-  
ბლებს.

ყორნის ფრთასავით შავ სიბნელეში მხოლოდ ამ  
ამბის მომთხრობ, მოხუცის წვერი ქათქათებდა. ირ-  
გვლივ ფიქრში წასული ყმაწვილკაცობა ისხდა. ქვე-  
ვით, ალაზნის ველზე კი ციციანთელებივით მოჩანდა.  
შირაქიდან მომავალ ავტოთა სინათლე.

დალამდა. მწუხრი მოედვა მაჩხანის გორას.

## ღირია მებგაღიძე



ოქროს საკინძე გახსნია  
ქარვებად გაშლილ სოფლებს,  
ბაღებში სიო ფართქალებს,  
აშარიშურებს ფოთლებს.  
ცა ფირუზ თვალით დახარის  
გლენის ერთგულად ნაშრომს,  
მზე თავის სხივებს ახურეებს  
და ჩალის კონებს აშრობს.

\* \*

დღიურ ზრუნვაში ხმაურობს  
კოლექტივები მინდვრად,  
„გოგოვ, არ დაგრჩეს ნაყოფი.  
ნაპირს მიჰყევი წმინდად“.  
ვიშ, რა კარგია დღეს დარი,  
გუშინწინ როგორ წვიმდა!

\* \*

ოთარი გოდორს მიათრევს  
ვაშლით და ზამთრის ხილით,  
ეზო პირამდე ივსება  
ნიგვზით, კომშით და თხილით.

\* \*

გივიმ ხარები ვარეკა,  
რქები ქარვებად ჰვივის,  
კოლექტივების მინდვრებში  
ბალახი უხვად ღვივის.  
„დაგენაცვლებით, წყვილებო,  
დანაყრდით, გაიხარეთ“, —  
გივი ხელს უსვამს ვავაზე  
მკერდჩასუქებულ ხარებს.

კაკო ატესტატს დასცქერის,  
ათწლელი დაამთავრა.  
„დედილო, ნუ დალონდები,  
მე ჯარში წავალ ჩქარა“.  
დედილომ გრძნობა სათუთი  
ბროლებად გადმოღვარა.

\* \*

და მშვიდად უთხრა თავის „ბიჭს“.  
„— მეც მიტომ გზარდე შვილი,  
აკვანს გირწევდი, გიმურდი,  
თვალში არ მქონდა ძილი,  
გიყვარდეს შენი სამშობლო,  
ვით დედის ძუძუ ტკბილი“.

\* \*

— „გფიცავ ჩემს ტურფა სამშობლოს,  
სტალინის მზეს და მთვარეს,  
თუ მტერი ნაბიჯს გადმოღვამს, —  
სიცოცხლეს ჩავუმწარებ...“  
კაკო ეხვევა დედილოს,  
მთებში ამოდის მთვარე.

\* \*

შრილებს ევკალიპტები  
და ნარინჯების ველი...  
ამალამ ღამე დღეს უდრის,  
ბიჭებო, მარჯვედ ხელი;  
კვლავ ბევრი რთველი გვენახოს  
და გამარჯვების წელი.

# პოეტად ლერმონტოვი

(დაბადებიდან 125 წლისთავის გამო)

არის გადმოცემა, რომ ლერმონტოვების გვარი წარმომდგარა ერთი შოტლანდიელი აზნაურიშვილისაგან. ამ კაცს, რომელსაც, თურმე, ლერმონტი ერქვა, შესანიშნავად სცოდნია სამხედრო საქმე, ამიტომ, მეჩვიდმეტე საუკუნეში, მეფე მიხეილ რომანოვს მოუწვევია რუსეთში. მეფესთან ლერმონტი დაწინაურებულა და გავლენიან პიროვნებად გამხდარა.

შემდგომ ლერმონტოვები უფრო გამდიდრებულან და გაძლიერებულან. მაგრამ ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გააძელებულა.


პოეტი მიხეილ იურის-ძე უკვე თავად-აზნაურობის გალარებულნი წრიდან გამოვიდა. მისი მამა ლარიბი ოფიცერი იყო მხოლოდ. ამ დროს ლერმონტოვების ოდესლაც ბრწყინვალე გვარს დაკარგული ჰქონდა ძველი გავლენიანობა. პოეტის მამა თავისი შეძლებით არც კი განსხვავდებოდა ჩვეულებრივი ხელმოკლე ადამიანებისაგან.

სამაგიეროდ ლერმონტოვის დედა იყო მდიდარი მემამულის შვილი. იგი თავის ქმარს მშობლების სურვილის წინააღმდეგ გაჰყვა.

მალე გარდაიცვალა მომავალი პოეტის დედა. მაშინ მიხეილ იურის-ძე ძალიან პატარა იყო, მხოლოდ სამი წლისა. ობოლი ბავშვი ბებიაშ აღზარდა.

ის ცდილობდა, რომ ბავშვისათვის არ შეემჩნევინებინა უღედობა, კარგად აღეზარდა იგი, მიეცა შესაფერისი სწავლა-განათლება. როცა წამოიზარდა შვილიშვილი, ბებიაშ უცხოელი გუვერნიორები მოიწვია თავის ოჯახში. აქ ისინი პატარა ლერმონტოვს ასწავლიდნენ ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებს, აგრეთვე — მუსიკასა და ხაზვას. რაღაც ორიოდ წელში ბავშვმა შესანიშნავად შეისწავლა ფრანგული, შეისწავლა ისე კარგად, რომ ამ ენაზე ლექსებსაც წერდა.

1828 წელს ლერმონტოვი მოსკოვის საუნივერსიტეტო პანსიონში მიიბარეს. აქ იგი სწავლობდა ორი წლის განმავლობაში. პანსიონში ნორჩი პოეტი გაიტაცა პუშკინის, შატობრიანის, შილერის, ბაირონისა და შექსპირის შემოქმედებამ. ბევრი მათი ლექსი, ბევრი ადგილი ამ უდიდეს პოეტთა ნაწარმოებებიდან ზეპირად დაისწავლა. განსაკუთრებით კითხულობდა პუშკინის პოემას „კავკასიის ტყვე“. ლერმონტოვმა ეს პოემა რამდენიმეჯერ გადაწერა და გადააკეთა კიდევ, შეიტანა მასში მნიშვნელოვანი ცვლილებები. მაგალითად, პოემის დასასრული უფ-



რო ტრაგიკული გახდა, უფრო გააძლიერა ზოგიერთი ადგილი.

1830 წელს უკვე ჰაბუკი პოეტი მოსკოვის უნივერსიტეტში შევიდა. აქ იგი გატაცებით დაეწაფა სწავლას, წიგნების კითხვას, პოეზიას, მაგრამ უნივერსიტეტის დამთავრება ლერმონტოვმა ვერ შესძლო: ორი წლის შემდეგ, პროფესორისადმი უდიერი დამოკიდებულების გამო, გარიცხეს უნივერსიტეტიდან.

მოსკოვის უნივერსიტეტიდან გარიცხული მიხეილ იურის-ძე ბევრს ეცადა მოწყობილიყო პეტერბურგის უნივერსიტეტში, მაგრამ ყველა ცდამ ამაოდ ჩაურა. ბოლოს გვარდიის ოთხკერთა სკოლაში შევიდა. 1834 წელს დაასრულა ეს სკოლა და მიიღო გვარდიის ოფიცრის თანამდებობა.

ამ წლებში ლერმონტოვმა შესანიშნავი პოემები დაწერა: „იზმაილ-ბეი“, „ხაჯი—აბრეკ“, რომელთაც ბაირონისეულ პოემებს უწოდებენ.

მაგრამ ახალგაზრდა პოეტის სახელი არ განთქმულა შორს. მხოლოდ 1837 წელს ჩადგა იგი რუს მწერალთა პირველ რიგებში, როდესაც დაწერა ლექსი „პოეტის სიკვდილი“. ამ წელს, როგორც ვიცით, დუელში მოჰკლეს რუსული ლიტერატურის დიდი მნათობი—ალექსანდრე სერგეის-ძე პუშკინი. უდიდესი პოეტის გარდაცვალებამ ძლიერ დაამწუხრა მოწინავე საზოგადოება. დრმა მწუხარებაში მყოფმა მიხეილ ლერმონტოვმა დაწერა აღშფოთებით აღსავსე ლექსი „პოეტის სიკვდილი“. აქ ავტო-

რმა ზიზღით მოიხსენია მეფის სასახლე და მის გარ-  
შემო მდგარი წუმპე, რომელმაც არ დაინდო უდი-  
დესი პოეტი და მუხნათურად გამოასალმა სიცოც-  
ხლეს.

მთავრობა გააცოფა ლერმონტოვის პირდაპირო-  
ბამ და გაბედულმა იდეებმა. მიღებულ იქნა გადა-  
წყვეტილება ქალაქიდან პოეტის გაძევების შესახებ.  
მართლაც, სულ მალე იგი კავკასიაში გაამწყესეს. მა-  
გრამ კავკასიაში უმოქმედოდ არ იყო უკვე სახელ-  
მონხვეილი პოეტი. აქ დაიწყო თავისი საუკეთესო  
პოემა „მწირი“, აქ დაწერა „ბოროდინო“ და „სიმ-  
ღერა ვაჰარ კალაშნიკოვის შესახებ“, აქ მუშაობდა  
„დემონზე“, რომელიც ადრე ჰქონდა დაწყებული.

1838 წელს, ნათესავებისა და ნაცნობების შუა-  
მდგომლობით, ლერმონტოვი პეტერბურგს დააბრუ-  
ნეს, სადაც სახელგანთქმულ მწერალს დიდი სიხა-  
რულით შეხვდნენ. ორი წლის შემდეგ ლერმონტოვს  
დუელი შეემთხვა საფრანგეთის ელჩის შვილთან.  
თუმცა დუელი უვნებლად დასრულდა, მაგრამ ლერ-  
მონტოვი მაინც გააძევეს პეტერბურგიდან, კვლავ  
კავკასიაში გადმოასახლეს. კავკასიაში პოეტმა უკან-  
ასკნელი რედაქცია გაუკეთა თავის საუკეთესო პოე-  
მა „დემონს“ და დაამთავრა რომანი „ჩვენი დროის  
გმირი“.

„ჩვენი დროის გმირი“ 1840 წელს დაიბეჭდა პი-  
რველად. რომანს დიდი თანაგრძნობით შეხვდნენ რო-  
გორც კრიტიკოსები, ისე მკითხველები. ლერმონ-  
ტოვის ნიჭით აღფრთოვანებულმა დიდმა კრიტი-  
კოსმა ბესარიონ ბელინსკიმ ახალგაზრდა პოეტი  
პუშკინის ღირსეულ მემკვიდრედ გამოაცხადა. კავკა-  
სიაში ლერმონტოვი ლექსებსაც წერდა. აქ მან შე-  
ქმნა „ვალერიკი“, რომელშიაც მხატვრულად აღწე-  
რა რუსის ჯარის შეტაკება ჩერქეზებთან. ლექსში  
პოეტი გმობს ომებს, გმობს სისხლისღვრას...

მაგრამ უდიდესი ნიჭის პოეტს არ დასცალდა.  
გაეგრძელებინა თავისი ფრიად ნაყოფიერი ლიტე-  
რატურული შემოქმედება. 1841 წელს, სრულიად  
ახალგაზრდას, დუელი შეემთხვა ნაცნობ ოფიცერ

მარტინოვთან ქალაქ პიატიგორსკის მახლობლად,  
ტყეში, პატარა მინდორზე. მარტინოვის მიერ გას-  
როლილმა ტყვიამ სასიკვდილოდ დაჭრა სახელგან-  
თქმული პოეტი. თუმცა ლერმონტოვი ძალიან ახალ-  
გაზრდა გარდაიცვალა, ოცდაშვიდი წლისაც კი არ  
იყო, როცა მოჰკლეს (დაიბადა 1814 წლის 14 ოქტომ-  
ბერს, გარდაიცვალა 1841 წლის 15 ივლისს), მაგ-  
რამ მას მაინც მდიდარი ლიტერატურული მემკვი-  
დრეობა დარჩა. თავისი ნაწარმოებებით იგი თამა-  
მად დგება უდიდესი პოეტების რიგებში. „მწირს“,  
„დემონს“, „ჩვენი დროის გმირს“ და სხვა ძვირფას  
ქმნილებებს ყოველთვის გატაცებით კითხულობენ.  
ლერმონტოვის ნაწარმოებთა ფილოსოფიური სიღ-  
რმე და შეუდარებელი მხატვრობა მუდამ მოხიბლა-  
ვენ მკითხველებს.

ვის არ მოეწონება, მაგალითად, „მწირი“, ეს  
უაღრესად მხატვრული და ფილოსოფიური პოემა.  
რა მძაფრად არის აქ დახასიათებული მთავარი მო-  
ქმედი გმირის, მწირის, განცდები! მწირი ძლიერი  
სულის ადამიანია, მტკიცეა და აღსაყვებ ბრძოლის  
უნარი.

ისე, როგორც „მწირი“, ძლიერი მხატვრული და  
ფილოსოფიური ნაწარმოებია „დემონი“. ლერმონ-  
ტოვი დიდხანს მუშაობდა ამ პოემაზე, ექვსჯერ  
გადაამუშავა იგი, მაგრამ ისე დაიღუპა, რომ საბო-  
ლოდ დამთავრება და დაბეჭდვა ვერ მოასწრო. ცენ-  
ზურამ არ გაუშვა „დემონი“. პოემა ხელნაწერის  
სახით ვრცელდებოდა რუსეთში. მხოლოდ 1857  
წელს დაიბეჭდა პირველად გერმანიაში.

უაღრესად ღრმააზროვანი და დამაფიქრებელია  
ლერმონტოვის ეს პოემა. იგი პოეტის ერთერთი  
საუკეთესო ნაწარმოებთაგანია.

გარდა პოემებისა, ლერმონტოვი წერდა ლირი-  
კულ ლექსებს, რომანებს, დრამებს. მაგრამ, საერ-  
თოდ, ლერმონტოვის დრამები ვერ არის განსაკუ-  
თრებით მაღალი ღირსების, უფრო მნიშვნელოვანი  
და უძვირფასესი მისი ლირიკული ლექსები და პო-  
ემებია.



# პოეტის სიკვდილი

მოკვდა პოეტი ცილწამებულნი,  
პატიოსნების მონა ერთგული,  
შურისძიებით ცეცხლმოდებული,  
ტყვიამ გაუპო ამაყი გული.  
ვერ აიტანა, ვერ მოითმინა  
წვრილმან წყენათა მძაფრი სირცხვილი,  
ქვეყნის აზრს მარტოდ აღუდგა წინა, —  
ნაცვლად არგუნეს მწარე სიკვდილი.  
მოკვდა! ცრემლის ღვრა და ხოტბა ჩვენი,  
თავის მართლება ვის რაღად უნდა,  
აღარას არგებს: აწ განაჩენი  
საბედისწერო უკვე აღსრულდა.  
თქვენ არ სდევნიდით, არად აგდებდით  
მის ნიჭს მშვენიერს და საოცარსა,  
არ უსვენებდით და აღაგზნებდით  
მის გულში მარად მწვავე ხანძარსა?  
მაშ გაიხარეთ მისი სიკვდილით,  
ვერ შესძლო ტანჯვა უკანასკნელი.  
დაგვიტყნა იგი ტურფა ყვაილი,  
ჩაიწვა, ჩაქრა, როგორც სანთელი.  
მკვლელი გულგრილად, დინჯად უმიზნებს  
და ტყვია მიზანს არ ასცილდება.  
ცივ გულს, ცარიელს რა შეაშფოთებს  
და ხელი მისი რად ათრთოლდება?  
ან რად გვიკვირდეს? ეს უცხო შვილი  
ბედის საძებრად აქა გვწვევია,  
როგორც სხვაც ბევრი მისებრ ლტოლვილი  
ჩვენსას ვერაფერს ვერ მისჩვევია.  
მას ენა ჩვენი, ზნე-ჩვეულება  
ჩვენის ქვეყნისა ეზიზღებოდა,  
რად ექნებოდა მაშ შებრალება  
და გული რაღად ასტიკვებოდა,  
როცა ჩვენს სახელს, ჩვენსა დიდებას  
იგი სიკვდილით ემუქრებოდა??

\* \*

მოკვდა და შავმა მიწამ დაჰფარა,  
ვით ის უცნობი სათნო მგოსანი,  
რომლის ქებასაც მან მოახმარა  
სიტყვა ბრწყინვალე და სხივოსანი,  
ვის გულშიც ეჭვმა დაისადგურა,  
ეჭვმა უსიტყვომ, გამოუთქმელმა,  
და ვინც ამასებრ გაანადგურა  
ხელმა ბოროტმა და უღმობელმა.  
რატომ გაშორდა მშვიდს ფუფუნებას  
და გულკეთილსა მეგობრობასა,  
არ გაუფრთხილდა აღგზნებულ ვნებას

და თავისუფალს გულის გრძობასა  
და ამ ქვეყანას იგი საშინელს,  
შურით აღსავსეს, სულის შემხუთებელს,  
რად მიეტანა, რად უწვდიდა ხელს  
ყველა უღმერთო ცილისმწამებელს?  
სიყრმიდანვე ხომ კარგად იცნობდა  
ადამიანის ზნეს და ბუნებას,  
რად უჯერებდა და ენდობოდა  
ხალხის ცრუ ალერსს, ფიცს და რწმუნებას?  
ძველი გვირგვინის ნაცვლად დაადგეს  
სხვა—ეკლიანი, დაფნით შემკული,  
და მის ეკლებმა მთლად დაუქაწურეს  
შუბლი ლამაზი და დიდებული.  
მას უწამლავდა წუთს უკანასკნელს  
მიტქმა-მოტქმა და ქორი მზაკვრული.  
მოკვდა, თან ვაჰყვა შურუძიებელს  
ცრუ იმედებით ნაწყენი გული.  
შეწყდა სიმღერა გულის დამწველი,  
რის თქმაც უნდოდა, მან მთლად ვერა თქვა,  
მგოსნის სავანე ვიწროა, ბნელი,  
მის ბაგეს მძიმე კლიტე დაედვა.

თქვენ — კი, სიფლიდით განთქმულ მამების  
გულით ზვიადნო შთამომავალნო,  
ბედით დაჩაგრულ, უძლურ გვარების  
ნაშთზე მონურის ტერფით მავალნო,  
მსუნავ ბრბოდ ტახტთან ხართ თავმოყრილი,  
ყველა თქვენგანი იქ იმალება,  
ჯალათნო, ფეხით გაქვთ გათელილი  
ნიჭი, დიდება, თავისუფლება.  
დღემდე გიფარავთ კანონის ჩრდილი,  
თქვენთან ვერავინ ვერას ვახდება,  
თქვენს წინაშე ხმაგაკმენდილი  
სამართალი და ჭეშმარიტება.  
მაგრამ არსებობს უფლის სამსჯავრო  
და იქ მრისხანე, მკაცრი მსაჯული,  
აღრვევ იცის, ვერვინ დაჰფაროს,  
ფიქრი და საქმე რამ განზრახული.  
ის, გელოდებათ, ის არა ჩქარობს,  
თქვე გარყვნილების თანაზიარნო,  
ოქროს წკარუნნი მას ვერ შეაკრობს,  
იქ ცოდვა უნდა მთლად აღიაროთ.  
მაშინ ამაოდ ძალას დაატანთ  
ენას ბოროტსა, შხამნარევს, წყეულს,  
მაგ შავის სისხლით ვერ ჩამობანთ  
პოეტის მართალ სისხლს აქ დანთხეულს!

თარგმანი ა. ახნაზაროვისა.



# ბველის სიბნელე

(ინფორმაციური ლაზერული)

როცა კოკისპირულმა წვიმამ გადაიარა და როცა მინდვრები კვლავ მოზიბინე სურნელოვანი ბალახით დაიფარა, — ტყეებში ურაგვისა და პარანას ახლოს ჯერ არხილული არსება გამოჩნდა.

ის მიიმუხს ბევრით ჩამოჰგავდა, მაგრამ მასზე უფრო მომადლო იყო. ბეწვი არ ჰქონდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის მკერდზე რამდენიმე ბლუჯა აჩეილ ბალანს. კბილებსაც ისე ბრაზით არ აღრქვილებდა. მისი ფართო, ნათელი თვალები ამაყი გამომეტყველებით უშიშრად შესცქეროდა გარშემო ყველაფერს. ის ყოველთვის გასწორებული, ორ ფეხზე დადიოდა. სხვადასხვა ნაყოფით იკვებებოდა. დაბინდებისას რომელიმე ხის ფულუროში მოიკალათებდა. დილით კი, როცა მზე ცის ტატნობზე აიწვევდა, თავშესაფარს ტოვებდა.

თუ ეს უცნაური არსება ფრინველების ახლო გაივლიდა, ისინი განაგრძობდნენ მშვიდად ჯდომას თავიანთ ბუდეებში. ორფეხა ხშირად ჰბაძავდა ფრინველებს და მათსავით სტვენდა. შეეძლო მთელი საათობით მზეზე მჯდარიყო და ჰიაფებისა და პეპლების ფარფატიტით დამტკბარიყო. ორფეხას ყვავილებიც კი ალერსით ესალმებოდნენ.

ერთხელ, როცა ორფეხა ტყის პირას მზეზე თბებოდა და მის ხელზე მცოცავ ოქროსფერ ბუზანკალას ძმურად ემუსაიფებოდა, მის ყურებამდის სიკვდილისაგან ხსნის მთხოვნელმა შემაზრუნმა ხმამ მოაღწია.

ორფეხამ იქით მიაშურა, საიდანაც ეს თავგანწირული ღრიალი ისმოდა. დახლართული ლიანების ბადით გარშემოხვეული ხეების ტევრში ძლიერი ცეცხლი გიზგიზებდა. მან ამ ხანძრის შუაგულში ქრელი, გასრიალებულკანიანი უზარმაზარი გველი დაინახა.

გველი ცეცხლის ზღვას თავს ვერ აღწევდა და საცოდავი ხმით ორფეხას შველას ემუდარებოდა.

ორფეხამ ხის გრძელი ტოტი მოტეხა, ფოთლები გააცალა და გველს გაუწოდა. გველი სიხარულით ტოტს მიაწყდა, რამდენიმე რგოლად შემოეხვია და რის ვაი-ვაგლახით ცეცხლიდან გამოძვრა.

ორფეხამ ტოტი მოტეხა და დააყუდა, რათა გველს ქვევით ჩაძრომა და თავის გზით წასვლა შესძლებოდა. მაგრამ გველს სულ სხვა ზრახვები ჰქონდა და მიწაზე ჩასვლას სრულებითაც არ ჩქა-

რობდა, ორფეხას გამოწვდილ ხელზე გალოლდა, მის მკერდზე დაიგვერგვა, ყელზე შემოეხვია და, ჩვეულებისამებრ, ისევე ჩუმად მოინდომა მისი დახრჩობა, როგორც ამას სხვა ცხოველებზე თავდასხმისას ჩადიოდა.

როცა ორფეხამ მის კისერზე მოჭერილი კუნთების ძალა იგრძნო და სული დაეხუთა, მხოლოდ მაშინ მიხვდა ცბიერი გველის განზრახვას.

ორფეხამ მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა და ამაოდ ცდილობდა ბოროტი გველისაგან თავის დაღწევას.

— შე საძაგელო! — წამოიყვირა მან, — ეს არის ცეცხლისაგან გადარჩენის სამაგიერო?

გველმა შემაზრუნნი სისინით მას პირდაპირ სახეში ჩახითხია:

— მაშ რა გნებავს? ცხოვრების კანონი აღიარებს კეთილი ცუდით იქნეს გადახდილი! რადგან შენზე უფრო ძლიერი ვარ, უფლება მაქვს მოგკლა. შენ კი წინააღმდეგობის გაუწველად უნდა დამმორჩილდე. ნუ მიწვევ წინააღმდეგობას!

როცა ორფეხამ უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, რათა მისი მუხრუჭი ცოტაოდნავ მაინც შეემსუბუქებინა, გველი კიდევ უფრო მაგრად შემოეტმასნა მის მკერდსა და კისერს და თავისი აღმატება აგრძნობინა, მაგრამ ორფეხა არ ნებდებოდა.

— არ არსებობს ასეთი კანონი! — წამოიყვირა მან. — სტყუი! შენ გსურს სიცოცხლის ცხოველმყოფელი ნაკადულები შესწყვიტო! შენ ლაჩარი მკვლეელი ხარ!

გველი წუთით დაფიქრდა. რასაც ორფეხა ამბობდა, მისთვის ახალი იყო. ჯერ მის ყურს მსგავსი რამ არ გაეგონა.

— აჰ, ტყეში, ასეთი კანონია, — უთხრა მან ორფეხას, — და ყველა მას ემორჩილება, მაგრამ რამდენადაც შენ აქ უცხო ხარ, ჯერ დაგარწმუნებ, რომ ასეთი კანონი მართლაც არსებობს და შემდეგ კი ჩემსას გავაკეთებ. მე ამას სამი მაგალითით დავიმტკიცებ, ყოველივეს შენი თვალთ დაინახავ, დამერწმუნები და აღარ გამამტყუნებ. ხოლო ყველა ამის შემდეგ შენით პირს ჩავიგემრიელებ. წავიდეთ!

გველმა ცოტაოდნად შეასუსტა თავისი რგოლები მის კისერსა და მკერდზე, ისე რომ ორფეხას თავისუფლად სუნთქვა შესძლებოდა, გველის კუდით

შეკრულ ფეხებსაც თავისუფლად მოძრაობის საშუალება მიეცათ. მაგრამ გველის ცივგამომეტყველებიანი თვალები ორფეხას სახეს არ შორდებოდა.

კარგახანს ტყით მიდიოდნენ. ორფეხამ შეამჩნია, რომ მხეცები გველს გაუბრუნდნენ, ისინი შორიდანვე ხედავდნენ მის გამოწვეულ თავს, მოსისინე ენას და საზარელ თვალებს.

ბოლოს ერთ პატარა რუს მიადგნენ. როცა ორფეხამ რუზე გადასასვლელად წყალში ფეხის ჩადგმა მოინდომა, მას ტალღების ჩქაფუნი შემოესმა:

— ყველას მხოლოდ სიკეთეს ვუშვებ, ვკვებავ მცენარეებს, ცხოველებისა და ფრინველების წყურვილს ვაცხრობ და სამაგიეროს კი ყველა ცუდად მიხდის: თავის ბინძურ ფეხებს ჩემს წმინდა სარეცელში ყოფენ და დაწმენდილ თვალებს მიმღვრევენ.

— ხომ ხედავ? — უთხრა გველმა ორფეხას, — ეს პირველი დამამტკიცებელი საბუთია იმისა, რომ მე არ ვტყუი.

გზა განაგრძეს და ტყეში უფრო ღრმად შევიდნენ. მალე პატარა კორდს მიაღწიეს, რომელიც ერთ მშვენიერ პალმას მთლიანად დაუფლებინა. მისი სწორი და გველივით მოქნილი ტანი მალლა აწვდილიყო, მის კენწეროს კი ზურმუხტოვანი ზეცა დაყრდნობოდა. დიდებულ ფოთლებში კაკალი მტევნებად ეკიდა და ქარისაგან შერხეულნი ზარბივით ირწეოდნენ.

იქვე, რამდენიმე ნაბიჯზე, მეორე პალმა იდგა. ის პირველზე უფრო დაბალი იყო და მის კენწეროს ზურმუხტოვანი ზეცა არ ეყრდნობოდა, მისი ნახევრადდამკვნარი ფოთლები უსიცოცხლოდ ეკიდნენ და ტანზე კი ღრმა ჭრილობებს სისხლი სდიოდათ.



როცა ორფეხამ ძლიერი წყურვილის მოსაკლავად მომდინარე სითხეს ენა დააწო, ხემ გულსაკლავად წაილაპარაკა:

— ყველას კეთილს ვუშვებ და სამაგიეროდ ცუდს ვიძი. დაღლილ მგზავრებს ჩემს ჩრდილში ვასვენებ, ჩემი ნაყოფით ვაპურებ, მაგრამ როცა ჩემი უკანასკნელი ნაყოფი ვარდება, ავზნიანი არსებანი სხეულს მიწყულულებენ და სისხლს მწოვენ. უმადურთა ძალმომრეობით სული მხდება. შენ რაღას უდგებარ აქ, უცნობო? წადი შენი გზით!

— აი ესეც შენ მეორე მაგალითი, — ჩაისისინა გველმა ცბიერად. — ახლა დარწმუნდი თუ არა ჩემს სიმართლეში?

— წავიდეთ კიდევ ცოტა შორს, — უთხრა ორფეხამ, — შენ ხომ სამი მაგალითით უნდა დამამტკიცო, რომ ასეთი კანონი მართლაც არსებობს. მე არც მესამე მაგალითის მეშინიან.

ტყე თანდათან ხშირდებოდა და ბნელდებოდა. ხმაჩახლეჩილი ძერები გულშემზარავი ჩხავილით ხიდან ხეზე ფრინდებოდნენ. გველს ეგონა, რომ ორფეხა შიშით წინ წასვლაზე უარს იტყოდა, თავს ჩაახრამუნებინებდა. იგი ახლომელ საკბილოზე ფიქრით განცხრომას ეძლეოდა.

უეცრად ერთ უზარმაზარ, ღრმაგამოქვაბულიან კლდეს მიადგნენ. გამოქვაბულის შესასვლელთან შავი ბანჯგვლიანი ძაღლი იწვა და საცოდავად ყმუოდა. იქვე მოზრდილი ტყავის ჩანთა ეგდო, რომელშიაც მას თათი ჩაეყო.

ორფეხა დაიხარა და ჰკითხა ძაღლს, თუ რა მოსვლია და ასე გულსაკლავად რად წუწკუნებს?

ძაღლმა ორფეხას სხეულსა და კისერზე შემოხვეულ გველს შეხედა. დაინახა მისი ცბიერი თვა-

ლები, მოსისინე ენა და ორფეხასადმი გველის ბოროტ განზრახვას მიხვდა.

ძაღლი კიდევ უფრო ხმამალლა აწუწკუნდა და ჩივილს მოჰყვა:

— მოიქეცი ამის შემდეგ კარგად! კეთილი ბოროტით მიზღეს. დაიკო გველო, იცნობ თუ არა შავ პუმას? ამასწინათ მას ანანასების ტევრში შეეხვდი. ისე ჰქონდა გვერდი დატყაული, რომ მის მაყურებელს გული შეუწუხდებოდა. ჭრილობები ჩემი ენით დაეულოკე და დავუწმინდე. განმაკურნებელი ბალახეულობა და ხილეულობა მოგძებნე და წყულულები მოგუშუშე. მაგრამ როცა პუმამ თავი ჯანსაღად იგრძნო, მეცა და უნდოდა თავისი ბასრი

ბრჭყალებით დაველადრე. მე თავის დაღწევა და გამოქცევა მოვახერხე, მაგრამ პუბლიკა ჩემი თათის დაზიანება მაინც მოასწრო. გუანაკომ რძე მითავაზა. ამ ჩანთაში კვახის ჭურჭელია და რძეც შიგ მქვს. რძე თათს კი მომიჩინდა, მაგრამ მარტო მე ჩანთიდან ამხელა ჭურჭლის ამოთრევა არ შემიძლია. საყვარელო დაიკო, შენ, სიგრძისა და მოქნილობის წყალობით, მისი ამოღება არ გაგიჭირდება.

ძალმა მშვენიერად იცოდა გველის რძისადმი მსუნავობის ამბავი. გველი მართლაც სასწრაფოდ ჩამოსრილდა მიწაზე, ორფეხა გაათავისუფლა და ძალს უთხრა:

— კარგად უყურე ამას, რომ არ გამექცესო! — და სწრაფად ჩაძვრა ჩანთაში, რათა გუანაკოს ტკბილი რძე კი არ ამოედო, არამედ თვით ამოესვლია.

როცა გველი მთლად ჩაიმალა ჩანთაში, ძალის მივარდა მას, მაგრად მოუჭირა კბილები ჩანთის პირს, ასწია თავი და მანამდის ახეთქა ჩანთა ხეს, სანამ გველს სული არ გასძვრა.

ორფეხა განზე იდგა და გაკვირვებული შეჰყუ-

რებდა მომხდარ ამბავს. იგი თავისთავს ეკითხებოდა: რა აიძულებს ძალს, რომ ასე მოქმედობს? რა მიზნით გამათავისუფლა გველისაგან? მაგრამ მისი კითხვა უპასუხოდ დარჩა.

უცებ ორფეხამ იგრძნო ძალის თბილი ენა თავის ხელზე. ძალის მეტად კმაყოფილი იყო და სიხარულით უთხრა მას:

— ხედავ, მეგობარო? ძლიერსაც კი, რომელსაც თავის ძალას მხოლოდ ძალმომრეობისათვის იყენებს და აკანონებს მას, შეიძლება მოენახოს ისეთი სუსტი ადგილი, რომლითაც ის ბოლოსა და ბოლოს იღუპება. მე შენ გიჩვენე ეს სუსტი ადგილი. წადი ახლა და ყველა ამას დაუფიქრდი.

— არა, — უპასუხა ორფეხამ, — მე შენ მომწონხარ და მინდა დაგიმეგობრდე.

მას შემდეგ ძალის და ადამიანი მეგობრულად ცხოვრობენ და რაც ერთმა არ იცის და ვერ აკეთებს, ის მეორემ იცის და მის მაგივრად აკეთებს.

თარგმანი გერმანულიდან | **თამარ ჰიზიანისა.**

## ქ. თოთიბაძე

# გამთხვნილი ოსი მწერალი

ვერცერთ კუთხეს, ვერცერთ სოფელს ვერ ნახავთ ოსეთში, სადაც არ გაეგონოთ კოსტა ხეთაგუროვის სახელი. ხალხმა ზეპირად იცის ამ საყვარელი მწერლის ლექსები და პოემები. ისე შეითვისეს მისი ლირიკული ნაწარმოებები, რომ აღფრთოვანებით მღეროდნენ მათ ხშირად.

სახელოვანი მწერლის ლექსები ხალხს აგონებს იმ საშინელ ტანჯვაწამებას, რასაც განიცდიდნენ ოსები წყევლ წარსულში. ერთის მხრივ თვითმპყრობელური რუსეთის მოხელეების და მეორე მხრივ ადგილობრივი მდიდრების მიერ შევიწროებული მშრომელი ოსი ხალხი მძიმე უღლის ქვეშ გმინავდა.

მომავალი პოეტი კოსტა ხეთაგუროვი ბავშვობიდანვე ხედავდა ამ საშინელებას და სიძულვილით იმსჯელებოდა ყოველგვარ მზავრელთა მიმართ. მისი ბავშვობაც, მისი ცხოვრებაც ხომ ისეთივე ცუდი და საშინელი იყო, როგორც სხვა ღარიბისა და ჩავრულისა, პატარაობიდანვე მას ქვეყნად უბედურება და წყევლიდი დახვდა მხოლოდ.

ვერც კიდევ ოთხი-ხუთი წლის იყო, როცა დედა მოუკვდა, მამამ სხვა ცოლი შეირთო. ეს ამბავი

პატარა კოსტასათვის პირდაპირ წამებად გადახტა. დედინაცვალის აუარებელ მძიმე საქმეს აკეთებინებდა ნორჩ ბავშვს. ფეხშიშველი, მშიერ-მწყურვალ კოსტა დადიოდა მთებში და მწყემსავდა ცხვრებს. ხშირად იქიდან გაიპარებოდა დედის საფლავზე და მწარედ ტიროდა გულმოკლული ბავშვი.

მიუხედავად ასეთი უსიხარულო ცხოვრებისა, პატარა კოსტამ მაინც შესძლო პირველდაწყებითი სწავლის მიღება. თავის აულ ნარში შეისწავლა მან წერაკითხვა, აქ მიიღო პირველდაწყებითი ცოდნა, მერე კი სტავროპოლის გიმნაზიაში შევიდა. მეექვსე კლასამდე სწავლობდა აქ, რის შემდეგ, სიღარიბის გამო, იძულებული გახდა მიეტოვებინა გიმნაზია.

სასწავლებლიდან გამოსული ჭაბუკი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. მას უხდებოდა ყოველდღიური ზრუნვა ლუკმა პურისათვის, არსებობისათვის. მაგრამ, მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებისა, მაინც შესძლო პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში შესვლა. მას აქაც არ დაუსრულებია სწავლა, კვლავ უსახსრობის გამო; 1883 წელს დაანება თავი აკადემიას და დაბრუნდა ქალაქ კავკაში.

ამ დროს იგი უკვე ცნობილი პოეტი იყო. მისი ბევრი ლექსი უკვე გასულიყო ხალხში. გატაცებით ეწაფებოდა შშრომელი ხალხი რევოლუციური შინაარსით გაჟღენთილ ძვირფას ლექსებს და აღფრთოვანებით იზებოდა ყოველ სტრიქონს. ისინი ქება-დიდებას ასხამდნენ საყვარელ პოეტს, რომელიც მღეროდა.

„მე ხალხი მიყვარს, თქმა არ უნდა,

მიყვარს ქვეყანა,  
ჩაგრულ-უმწეო და ობლები  
მე მიყვარს გულით“...


მას ვერ წარმოედგინა ცხოვრება შშრომელი ხალხის გარეშე. მათთვის იბრძოდა, მათთვის იღწვოდა იგი, მათთვის სიცოცხლესაც კი გაიღებდა. აკი თვითონვე ეუბნება მათ:

„ჩემი სიცოცხლე თქვენ გეკუთვნით...  
და ძალა მთელი,  
მზად ვარ გავწირო მხოლოდ თქვენთვის  
მე ჩემი თავი,  
ისე ძვირფასი და უსაზღვრო  
ხართ საყვარელი,  
რომ ვთქვა არ ძალმიძს თქვენი ღირსი  
სიტყვა უკვდავი“.

იგი ხალხს მოუწოდებდა მჩაგვრელთა დამხობისაკენ, მონობის ბორკილების დამსხვრევისაკენ, თავისუფლებისაკენ.

ამას კარგად ხედავდნენ მეფის მოხელეები და თვალყურს ადევნებდნენ სახელოვან პოეტს, ყოველ ფეხის ნაბიჯზე სდევნიდნენ მას, აპატიმრებდნენ და ასახლებდნენ სამშობლოდან.

1889 წელს გამოვიდა კოსტა ხეთაგუროვის ლექსების წიგნი „ირონ ფანდირ“ („ოსური ღირა“). მასში თავმოყრილი იყო პოეტის რევოლუციური შინაარსით გაჟღენთილი მრავალი ლექსი. ავტორს



იმედი ჰქონდა, რომ მისი წიგნი გავრცელდებოდა ხალხში, რომ ყველგან შეიჭრებოდა „ირონ ფანდირი“. მაგრამ ასე არ მოხდა: წიგნი გამოცემისთანავე აკრძალა მეფის მთავრობამ.

სახელოვან პოეტს კი უფრო მეტად დაუწყეს დევნა და შევიწროება, მოსწყვიტეს თავის საყვარელ სამშობლოს, შორს გადაასახლეს მეთვალყურეობის ქვეშ.

ბავშვობიდანვე განცდილმა უზომო გაჭირვებამ, საშინელმა ცხოვრებამ და დევნა-შევიწროებამ გატეხა პოეტის ჯანმრთელობა. გადასახლებაში მყოფს შეეყარა მძიმე ავადმყოფობა — ძვლის კლექი.


რაც დრო გადიოდა, მით უფრო უარესდებოდა ხეთაგუროვის ჯანმრთელობა. ბოლოსა და ბოლოს იგი სიშინლად დაუძლურდა. 1905 წელს, როცა რევოლუციის ცეცხლი ავიზიზდა, კოსტა უკვე დაუძლურებული იყო, მას არ შეეძლო უშუალოდ დახმარებოდა თავისუფლებისათვის მებრძოლთა საქმეს.

1906 წლის პირველ აპრილს იგი საშინელ წამებაში გარდაიცვალა. პოეტის ცხედარი კავკაზში წაასვენეს. საფლავთან ბევრი ხალხი შეგროვდა. აქ ითქვა გამოსათხოვარი სიტყვები ოსურ, რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე.

\* \* \*

ამ წლის ოქტომბერს ოთხმოცი წელი შესრულდა გამოჩენილი ოსი მწერლის კოსტა ხეთაგუროვის დაბადებიდან. ეს თარიღი ყველგან დიდი სიყვარულით აღნიშნეს. მრავალ ენაზე ითარგმნა ოსური ლიტერატურის ფუძემდებლის, სახალხო მომღერლის კოსტა ხეთაგუროვის ლექსები და პოემები.

ქართველმა პოეტებმა ყველა მისი ნაწარმოები თარგმნეს.





# განთიადი

ცა მტრედისფრად შეიღება,  
ზურმუხტოვან ფარჩად ველი,  
მოიხადა დედამიწამ  
ლამის შავი სამოსელი.

განთიადმა გააღვიძა  
ეს ბუნება საყვარელი,  
მარგალიტის სამკაულით  
აციმციმდა მინდორ-ველი.

ცივი წყარო მოჩუხჩუხებს  
და აღვიძებს არემარეს,  
სიცოცხლე და სილამაზე  
მოჭფენია ყოველ მხარეს.

ცა მტრედისფრად შეიღება,  
ზურმუხტ ფარჩას იქსოვს ველი,  
არემარეს გააღვიძებს  
განთიადი საყვარელი.

გურამ ასათიანი

შე 18 სკოლის მე-4 კლასის ფრიადოსანი მოწაფე.

# რთველი

ზვარში ჩამდგარა ოქროსკალთება  
რთველი მტევანთა აელვარებით,  
ფართოდ გაშლილა და გაღებულა  
კოლმეურნეთა მარნის კარები.

რა ნეტარება აღმართა ხვავად  
ამ რთველმა შვების ცრემლთა ღვარე-  
ბით,  
მშრომელის გული ხარობს დოვლათით,  
ლარიდან ტკბილის ჩაწანწკარებით.

შენცა კეკლუცობ და ჩვენც გვა-  
ლაღებ,  
მიწავ, შარბათით მკერდდაფარულო.  
რთველო, მოსულხარ, თან მოგყოლია  
წამები წლებზე სასიხარულო!

მაშ იწკრიალეთ ქვევრში ღვარულად,  
შვების ცრემლებო ახალ რთველისა,  
თქვით სიმღერები კოლმეურნული  
და სიხარული მთის და ველისა!

მუჰამან ლეზანიძე

თბილისი, მე-35 სრული საშუალო სკოლის  
მოწაფე.

# ჩემი ნაგვრა

როგორ მინდა, რომ იცოდეთ,  
მაღლა ცაში ქროლა,  
დიდი მთების გადაღახვა,  
სამშობლოს შემოვლა!

მიტაცებს და მათრთოვანებს  
გმირ ქალების საქმე,  
სულ იმის ოცნებაში ვარ,  
რომ მფრინავი გავხდე.

როგორ მინდა მეც მათსავით  
დავფრინავდე ზევით,  
დავუვლიდე მთელს სამშობლოს  
რკინის ფრთების ქნევით!

ავფრინდები ზევით, ზევით,  
ვრცელ მიდამოს ვიხელ,  
თუ მტერი შემოგვესევა, —  
უკან არ დავიხევ.

ქეთო ხალვაში

ქ. ბორჯომი, ლ. ბერიას სახელობის სრული საშუალო სკოლის მოწაფე.



# ნახშირი



მაგარი სხეული თავისი ზედაპირით იზიდავს გაზებს, სითხეებს, მტვერს, ბოლს. რამდენადაც დიდი ზედაპირი აქვს სხეულს, იმდენად მეტი მიზიდვის უნარი ახასიათებს. ზედაპირი კი მით უფრო დიდია, რაც მეტი ნასვრეტები, ანუ ფორები აქვს სხეულს. ყველასათვის ნაცნობი ნახშირი ძალიან მდიდარია ფორებით, ის ისე ისრუტავს თავის ნასვრეტებში გაზსა და სითხეს, როგორც საშრობი ქაღალდი შელანს. პრაქტიკაში დიდხანია გამოყენებულია ნახშირის ეს საუცხოო თვისება. არც კი კმაყოფილდებიან მისი ბუნებრივი ფორიანობით, ხელოვნურად ზრდიან მის ზედაპირს. ამისთვის ნახშირს წმინდად ფხვნიან და ატარებენ გახურებულ წყლის ორთქლში. ორთქლს გამოაქვს ნასვრეტებში ჩარჩენილი ფისი და სხვა უსუფთაობა. შემდეგ ამრობენ.

ასეთნაირად დამზადებულ ნახშირს გააქტივებული ნახშირი ეწოდება. მას საოცრად დიდი ზედაპირი აქვს. ერთ გრამ აქტიურ ნახშირზე 25—220 კვადრატული მეტრი ზედაპირი მოდის. ამის გამო შთანთქმის უნარი ისე ეზრდება, რომ ერთ კუბიკურ სანტიმეტრ ასეთ ნახშირს ჩვეულებრივ ტემპერატურასა და წნევაზე შეუძლია შთანთქმას 85—95 კუბურ-სანტიმეტრი გაზი.

ამაზე არის დამყარებული ნახშირის გამოყენება აირწინაღებში. როდესაც შხამიანი გაზებით მოწამლული ჰაერი აირწინაღის კოლოფში გაივლის, შთანთქმება იქ მოთავსებული ნახშირის მიერ. მაგრამ ჰაერი მსუბუქი გაზია, ის მალე სცილდება ნახშირს, მომწამლელი გაზები კი თითქმის ყოველთვის ჰაერზე მძიმეებია, ისინი ძალიან დიდხანს რჩებიან ნახშირის ნასვრეტებსა და კაპილარებში. არსებობს ზოგიერთი შხამიანი გაზი, რომლის მთლიანად

ნად შთანთქმა ნახშირს არ შეუძლია, ამისათვის კოლოფში დამატებით მოთავსებულია სხვადასხვა ქიმიური ნივთიერება და განსაკუთრებული წესით გამზადებული ბამბა. ესენი ნახშირთან ერთად საფუძვლიანად წმენდენ კოლოფში გავლილ ჰაერს მავნე გაზებისა და შხამიანი ბოლისაგან.



აირწინაღებში იხმარება ძალიან წვრილფორიანი, ანუ ულტრანასვრეტიანი ნახშირი.

მარტო აირწინაღით არ ამოიწურება ნახშირის გამოყენება. ნახშირს ხმარობენ მრავალ ქარხანაში წყლისა და სხვადასხვა სითხის გასაწმენდად, მაგალითად, შაქრის ქარხანაში ქარხლის წვეწვდის ნახშირით წმენდენ და აუფერულებენ.

ნახშირი გამოყენებულია სხვადასხვა ქიმიურ წარმოებაში, ღვინისა და ძმრის ქარხნებში, სოფლის მეურნეობაში სათუთი ხილის შესანახავად; ნახშირი, როგორც ძნელადდნადი ნივთიერება, ფართოდ იხმარება ელექტრომეტალურგიაში. ყველაზე დიდი რაოდენობით იგი მეტალურგიაში იხარჯება. აქ უმთავრესად კოქსს ხმარობენ მადნებიდან ლითონების გამოსადნობად.

ნახშირი შედის ზოგიერთ ასაფეთქებელ ნივთიერებაში, მაგალითად, დენთი (თოფის წამალი) შედგება ნახშირისა, გოგირდისა და გვარჯილისაგან. ნახშირი იხმარება კირისა და ცემენტის დამზადების დროსაც. მისგან ამზადებენ მეტად ძვირფას საღებავებს და წამლებსაც კი. როგორც საწვავი მასალა, იგი ცნობილია უძველესი დროიდან. ქვეყნის მეურნეობის თითქმის ყველა დარგში იხმარება ნახშირი. ზოგიერთი დიდი წარმოება ნახშირის გარეშე წარმოუდგენელია.

შ. როსტოვაშვილი





ზაფხულის საღამოს, აინთება თუ არა სინათლე საცხოვრებელ სახლებში, მრავალი პეპელა და ბუზი მოფრინდება. ხშირად ისინი მოხვდებიან ლამპის ან სანთლის ალში და იღუპებიან. რა იღუპებიან ძალა იგი, რომელიც იზიდავს მათ სინათლისაკენ?

წარმოიდგინეთ გემი, რომელიც მოძრაობს ღამით ნაპირის გასწვრივ. რათა შეინარჩუნოს სწორი მიმართულება და თავიდან აიცილოს წყალქვეშა ქვები, კაპიტანს მიყავს გემი შუქურის საშუალებით ისე, რომ უკანასკნელის შუქი ყოველთვის ჩანს განსაზღვრული მიმართულებიდან. დავუშვათ, რომ კაპიტანმა შეცთომით რაიმე სხვა სინათლე მიიღო შუქურად. ცხადია, რაც მოხდება. გემი ასცილდება სწორ გზას და შესაძლოა დაიღუპოს.

სწორედ ასეთი რამ ემართებათ მწერებს საღამოხანს. საღამოთი მწერები დაფრინავენ მუდამ ისე, რომ მთვარის შუქი მათ ეცემათ თვალბში, ყოველთვის ერთიდაიგივე მხრიდან. მთვარე მათთვის შუქურაა. თუ პეპელას უხდება ასცილდეს გზას, რათა მოუაროს ხეს, ან გაეჭკეს ღამურას, მას შეუძლია შემდეგ ადვილად მონახოს საწყისი მიმართულება: ამისათვის საკმარისია იგი მობრუნდეს ისე, რომ მთვარის შუქი კვლავ იმავე მხრიდან დაინახოს.

ვენახოთ, რა ხდება, როცა პეპელა აღმოჩნდება იმ სახლის მახლობლად, სადაც ლამპა ანთია. სინათლის სხივები ფანჯრიდან ან აივნიდან მწერს თვალბში ხვდება. იგი მას მთვარის შუქად თვლის და ფრინავს მის მიხედვით. მაგრამ გაიფრენს თუ არა ცოტას ახალი მიმართულებით, პეპელა უკვე

იძულებულია კვლავ მობრუნდეს, რათა ლამპის შუქი ისევ იმავე მხრიდან ხვდებოდეს. იგი ტრიალებს და თანდათან უახლოვდება სინათლეს, მანამ ალში არ მოხვდება.

დაუკვირდით პეპელას, რომელიც მიფრინავს სინათლეზე. თქვენ დაინახავთ, რომ იგი მოძრაობს სპირალისებურად, და არა პირდაპირ. ამის შემოწმება შეიძლება აგრეთვე უბრალო ცდის მეშვეობით.

დადგით ლამპა მაგიდაზე და სცადეთ იაროთ ოთახში ისე, რომ სინათლე გხვდებოდეთ თვალბში მუდამ ერთიდაიგივე მხრიდან, ვთქვათ, მარჯვნიდან. წინ როგორც კი გადადგამთ რამდენიმე ნაბიჯს, ლამპის შუქი აღმოჩნდება ან გვერდით, ან უკან. იმისათვის, რომ სინათლე კვლავ განათებდეთ მარჯვნიდან თქვენ უნდა მობრუნდეთ, მერე ისევ, და იქამდის, სანამ თქვენ მაგიდას არ მიუახლოვდებით თქვენ შემოსწერთ ოთახში ისეთსავე სპირალს, როგორც შემოსწერს ჰაერში პეპელა, რომელმაც ლამპის შუქი მთვარის (მისი შუქურის) სინათლედ მიიჩნია.

სინათლის მიხედვით გზას იკვლევენ აგრეთვე ჭიანჭველები და ფუტკრები. ისინი მიცოცავენ და დაფრინავენ მზის მიხედვით. ვთქვათ, ჭიანჭველას, რომელიც შორს წავიდა ბუდიდან და ბრუნდება სახლისაკენ, მოულოდნელად დააფარეთ ჭიქა და გყავდეთ „ტყვეობაში“ ორნახევარი საათი. შემდეგ ჭიანჭველა გამოუშვით; იგი გაიქცევა, მაგრამ არა ძველი მიმართულებით; ორ ნახევარ საათში მზემ გადაინაცვლა და ჭიანჭველა იძულებული იყო მობრუნებულიყო, რათა სინათლე მას კვლავ იმავე მხრიდან სცემოდა თვალში.

## როგორ აკანთოთ სანთელი უნაკეჩკლოდ

პალესტინაში, იერუსალიმის ტაძარში მორწმუნეთ უჩვენებდნენ „სასწაულს“. შუალამით იქ თავისთავად ინთებოდნენ სანთლები. ამ „სასწაულის“ სანახავად მოდიოდნენ მორწმუნენი, რომელნიც თავიანთი გროშებით ავსებდნენ იერუსალიმის გაიძვერა ბერების ისედაც სავსე საღაროს.

ასეთი „სასწაულის“ მოხდენა შეიძლება თეთრი ფოსფორის ხსნარით გოგირდნახშირბადში. ასეთ ხსნარს წაუსვამთ სანთლის პატრუქებს. რამდენიმე

წუთის შემდეგ გოგირდნახშირბადი ორთქლდება და პატრუქზე ჩჩება ფოსფორის წვრილი მარცვლები. ფოსფორი ჰაერის ჟანგბადთან შეერთებით ინთება და სანთელიც „თავისთავად“ აინთება.

არავითარ შემთხვევაში არ გააკეთოთ ასეთი ცდა თქვენ მარტო, რადგან თეთრი ფოსფორიც და გოგირდნახშირბადიც ცეცხლსაშიშია, საწამლაია და თითოეული მათგანი საგანგებო ფრთხილ მოპყრობას მოითხოვს.

## „მძიმე“ ამოცანა


ცნობილმა იტალიელმა ფიზიოლოგმა პროფ. მოსკომ გამოიგონა ხელსაწყო, რომელიც გვიჩვენებს, თუ რა მუშაობას ეასრულებთ, როდესაც ვწყვეტთ ძნელ ამოცანას. მოსოს მიერ ჩატარებული ცდა შემდეგში მდგომარეობს: გამოსაცდელი ადამიანი წვება პლატფორმაზე, რომელიც ბრუნავს ჰორიზონტალური ღერძის გარს, სასწორის ბერკეტის მსგავსად. დასაწყისში პლატფორმა ჰორიზონტალურ მდგომარეობაშია. გამოსაცდელს აძლევენ არითმე-

ტიკულ ამოცანას. მაგალითად: შეასრულოს ზეპირად გამრავლება  $7 \times 8$ . როცა ადამიანი ფიქრობს ამ ამოცანაზე, პლატფორმის ის ბოლო, რომელზედაც ადამიანის თავია მოთავსებული, გადასძლევის და დაიხრება. რაშია საქმე? საქმე იმაშია, რომ გონებრივ მუშაობას თან ახლავს სისხლის მოქცევა ტვინში: რამდენიმე გრამი სისხლი გადადის ქვედა კიდურებიდან თავში, ამიტომ ხელსაწყო აღნიშნავს თავის დამძიმებას.



# ბასართობი

## გაქვს თუ არა დაკვირვების უნარი



დახედავთ თუ არა ამ ნახატს, ეცადეთ ხუთი წუთის განმავლობაში გასცეთ პასუხი შემდეგ კითხვებზე:


1. არის თუ არა ორი სრულიად ერთნაირი მწკრივი?
2. არის თუ არა ერთი ფიგურა მაინც, რომელიც მხოლოდ ერთ მწკრივში გხვდება?
3. არის თუ არ ისეთი მწკრივი რომელშიაც ერთიდაიგივე ფიგურა მეორდება ოთხჯერ?
4. სულ რამდენი სხვადასხვა ფიგურაა ამ ნახატზე?

შემდეგ აჩვენეთ ეს ნახატი თქვენს ამხანაგებს და სთხოვეთ გიპასუხონ ამ კითხვებზე. შეამოწმეთ, ვის უფრო უკეთესი დაკვირვების უნარი აქვს.


## აკითხავიკული დაბირინგი

თქვენს წინ საკვირველი სახის ლაბირინთია. ამ ლაბირინტში გზადაგზა ხვდებით წრეებს, რომლებშიც ჩაწერილია რიცხვები. დაიწყეთ სვლა ამ ლაბირინტში და შეაჯამეთ თავიდან ბოლომდე გზადაგზა შეხვედრილი რიცხვები. მაგრამ რიცხვების შეჯამების დროს უნდა დაიცვათ შემდეგი წესი:

1. ყველა ის რიცხვი, რომელიც იყოფა სამზე, უნდა გამტკიცოთ და არ შეიტანოთ საერთო ჯამში.
2. ყველა წყვილი რიცხვი უნდა გააორკეცოთ, ე. ი. უნდა გაამრავლოთ ორზე. როდესაც პასუხს მიიღებთ, შემდეგ შეამოწმეთ ხისწორე თქვენი პასუხისა.



## უნაჩრის ერთი მოსიით



პასუხი „პიონერის“ № 8-ში მოთავსებული განსართობზე.  
როგორ მივიღოთ კვადრავი?

